გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

სკოლა: ტახტისძირის საჯარო სკოლა კლასი: IX

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილის რიგითობა: I I I გაკვეთილი

ჩატარების თარიღი: 18.12.2017 წელი დრო: 14:00 საათი.

მასწავლებელი: თამარ ლომიძე

1	გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანი და გასაგებად ავუხსენი გაკვეთილის მიზნები	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გამოკითხვის მეთოდით გავახსენე განვლილი გაკვეთილის შინაარსი და ის აქტივობები,რომელიც შეასრულეს წინა გაკვეთილზე,გავიხსენეთ ორაზროვანი ნახატები,ტიპური შეცდომები,მოდური და ინტელიგენტური პროფესიები,ცრურწმენები და სტერეოტიპები.შემდეგ მოსწავლეებს გავაცანი რიგით მესამე გაკვეთილის მიზანი: პროფესიათა მახასიათებლები, კონკრეტული პროფესიის როლის გააზრება,ვიმუშავებდით პროექტზე გარკვეული პროფესიიდან გამომდინარე და მივიღებდით ამით იმ შედეგს,რომ მოსწავლეები პროფესიათა ბუნებას გაეცნობოდნენ, გაივარჯიშებდნენ გონებას, შემოქმედებით აზროვნებას.ჯგუფური მუშაობის მეშვეობით ისინი მოახდენდნენ ერთმანეთში ეფექტურ კომუნიკაციასა და კოორდინაციას.			
2	გაკვეთილზე გამოვიყენე წინასწარ გამზადებული საჭირო მასალა	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:გაკვეთილზე თვალსაჩინოებისათვის და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობისათვის გამოვიყენე რესურსად საპრეზენტაციო პროგრამა Power Point-ში მომზადებული პრეზენტაცია,სადაც განმარტებები მქონდა მითითებული ,თუ რას ნიშნავს პროექტი და რა მიზნები უნდა დავისახოთ მისი შექმნის პროცესში.ამ ხერხით ხელი შევუწყე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში .პრეზენტაცია მოსწავლეებს ვუჩვენე პროექტორით. ასევე დავამზადე ფერადი კონვერტები,სადაც მოვათავსე გარკვეული პროფესიები.მოსწავლეებმა ჯგუფიდან წარმომიდგინეს თითო ლიდერი და მათ აიღეს თითო კონვერტი.მისი გახსნის შემდეგ ,მათ დაიწყეს იმ პროექტზე მუშაობა ჯგუფებში,რომელი პროფესიაც შეხვდათ.			
3	მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება დაესვათ შეკითხვები, დაეზუსტებინათ გაუგებარი საკითხები	დიახ	არა	ნაწილობრივ

კომენტარი:მოსწავლეები ყურადღებით ისმენდნენ ახალ მასალას და სვამდნენ გაუგებარ საკითხებზე კითხვებს,რაზეც იღებდნენ ჩემგან ამომწურავ ინფორმაციას.მათ ძალიან მოეწონათ კერძო პროფესიაზე პროექტის შექმნის იდეა. უჩნდებოდათ ერთმანეთისგან განსხვავებული ასოციაციები.მე მათ ვეხმარებოდი.მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად და ვამუშავე ორ პროექტზე,ერთი ჯგუფი ადგენდა პროექტს პროფესია-მზარეულის თემაზე,მეორე ჯგუფი კი პროფესია-ფერმერზე.				
4	დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქცია მკაფიოდ და გასაგებად ავხსენი	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:გაკვეთილით გათვალისწინებული ყველა აქტივობა ამომწურავად და გასაგებად ავუხსენი მოსწავლეებს.მათ სიღრმისეულად განვუმარტე პროფესიათა მახასიათებლების შესახებ,წარმოვადგენინე მათ საკუთარი თავი გარკვეულ პროფესიაში და დავავალე მაღ ამ პროფესიის მიხედვით შეედგინათ პროექტი.				
5	გაკვეთილის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში .პრეზენტაციის დროს ისინი გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებს და უზიარებდნენ მეგობრებს,ასევე ეხმარებოდნენ ერთმანეთს ჯგუფში სხვადასხვა იდეებით.ჯგუფები				
7	გაკვეთილის მიმდინარეობისას შექმნილი იყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:ჩემს ყურადღებას და კეთილგანწყობას ყველა მოსწავლეს თანაბრად ვუნაწილებდი,ისინი აღმიქვამდნენ პარტნიორად და შექმნილი მქონდა თბილი,კეთილგანწყობილი,თანამშრომლობითი გარემო.შევქმენი ისეთი საგაკვეთილო სიტუაცია,რომ სხვადასხვა ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს შესძლებოდათ საკუთარი აზრის გამოხატვა.ასეთი დამოკიდებულებით ისინი იყვნენ უფრო შემოქმედებითები და გულწრფელად გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებს.				
8	ჯგუფის მართვისას წავაწყდი პრობლემებს (დააკონკრეტეთ)	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:ჯგუფის მართვისას კლასში პრობლემა არ შემქმნია.მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.				

9	გაკვეთილზე გამოყენებულმა მეთოდებმა ხელი შეუწყო მონაწილეთა ჩართულობას და ინფორმაციის ათვისებას (მაგ., პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის თუ სხვა გზით)	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში ,მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ გაკვეთილის მიმართ.ყველაზე მეტად მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში ხელი შეუწყო პრეზენტაციამ,რომელიც პროექტორით ვუჩვენე,ასევე დიდი ინტერესი გამოიჩინეს მოსწავლეებმა პროექტის შექმნაზე.მათ დიდი ფორმატის ქაღალდებზე დაიწყეს ხატვა და პროექტის ძირითადი მიზნების ჩამოწერა,რაზეც მათ ჰქონდათ დრო 30წუთი.				
10	აქტივობების წარმართვისას წავაწყდი გარკვეულ პრობლემებს (მიუთითეთ კონკრეტულად)	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:აქტივობების წარმართვისას პრობლემები არ შემქმნია.				
11	მოსწავლეებმა გაიაზრეს მოდულით გათვალისწინებული თემის შინაარსი და მისი მნიშვნელობა	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:მოსწავლეებმა კარგად გაიაზრეს მოდულით გათვალისწინებული თემის შინაარსი და მისი მნიშვნელობა.აღიქვეს კონკრეტულ პროფესიაში თუ რისი გაკეთება მოუწევთ.გაიგეს პროფესიის არჩევაზე მოქმედი სტერეოტიპების მნიშვნელობა და მიხვდნენ, თუ რა რისკები და ტიპური შეცდომები შეიძლება არსებობდეს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით.				
12	მოდულით გათვალისწინებული დრო საკმარისია აქტივობების განსახორციელებლად	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:დრო გათვლილი და გადანაწილებული მქონდა,ვცდილობდი ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილი ყოფილიყო არც ძალიან ნელი და მოსაწყენი და არც ზედმეტად სწრაფი.მოდულით გათვალისწინებული დრო სავსებით საკმარისი იყო და ყველა აქტივობაში ზუსტად ის დრო მეყო,რაც იყო მითითებული მოდულით სახელმძღვანელოში.				
13	საგაკვეთილო პროცესს წარვმართავ ისე, რომ სსსმ მოსწავლე ჩართული იყოს აქტივობებში	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი: სსსმ მოსწავლე არ მყავს კლასში.				